

გონიო-აფსაროსის ადრეიზანტიური ხანის კოლხური ამფორები: არქეოგრაფიული კვლევის შედეგები

თათული მოწყობილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოქტორანტი

ელ.ფოსტა Tatulimotskobili00@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0002-3632-7649>

აბსტრაქტი. ადრეიზანტიური პერიოდის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის მთელი რიგი საკითხები დღემდე ერთ-ერთი აქტუალური და შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ამ პერიოდის ძეგლებისა და მატერიალური კულტურის შესახებ შეიქმნილია მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, მთელი რიგი საკითხები, განსაკუთრებით არქეოლოგიური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ნაწილობრივად დამუშავებული ანდა სრულიად შეუსწავლელია. ზოგიერთ ძეგლზე (გონიო-აფსაროსი, პეტრა-ციხისძირი) დღემდე მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევები და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი ძირითადად მხოლოდ ტრადიციული არქეოლოგიური მეთოდების (ტოპოგრაფიული მიდგომა და მაკროსკოპული ანალიზი) გამოყენებითაა შესწავლილი. იგივე შეიძლება ითქვას ადრეიზანტიური ხანის კოლხური ამფორების შესახებაც.

ნაშრომში პირველად არქეოგრაფიული, ქიმიური და პეტროგრაფიული კვლევების საფუძველზე კომპლექსურადაა შესწავლილი გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კოლხური ამფორები.

საკვანძო სიტყვები: ბიზანტიის იმპერია, გონიო-აფსაროსის ციხე, კოლხური ამფორები, არქეოლოგია, არქეოგრაფია.

შესავალი. გონიო-აფსაროსის ციხის ისტორიით მკვლევარები პირველად XIX საუკუნეში დაინტერესდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831-1834 წლებში ყირიმში და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში იმოგზაურა. ექსპედიციის კვლევის შედეგები - ალბომი რუკებით, გეგმებითა და ჩანახატებით ექვს ტომად გამოაქვეყნა (1839-1843 წწ). განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უძველეს ნანგრევებს და დაგვიტოვა სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლის უნიკალური აღწერები და ილუსტრირებული მასალა. დიუბუა დე მონპერე პირველი იყო, ვინც მოახდინა უძველესი აფსაროსის იდენტიფიცირება გონიოს ციხესთან (Dubois de Montpéreux F., 1839).

საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც სანტკპეტერბურგის არქივებშია დაცული, ირკვევა, რომ ციხის და მისი შემოგარენის ისტორიას ლეგენდარული ტროას აღმომჩენის ჰაინრიხ შლიმანის ყურადღებაც მიუპყრია. 1882 წელს ჰ.შლიმანმა, რომელიც დაინტერესებული იყო ძველი ბერძნული მითებით, განსაკუთრებით კი არგონავტების მითით, მიმართა რუსეთის იმპერიის არქეოლოგიურ კომისიას თხოვნით გაეცათ მისთვის ნებართვა ბათუმის გარშემო არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. მას სურდა მოეძებნა მედეას ძმის აფსირტეს ლეგენდარული საფლავი, რომლის დაკრძალვის ადგილად პროკოპი კესარიელი აფსაროსს მოიხსენიებდა. არქეოლოგიურმა კომისიამ ნებართვა არ გასცა, შესაბამისად ჰ. შლიმანის ეს სურვილი არ განხორციელდა.

აფსაროსის ყურადღება მიიქცია ცნობილმა ბიზანტიოლოგმა თეოდორ უსპენსკიმ, რომელმაც სპეციალური სტატია მიუძღვნა ციხეს - „უძველესი ციხე მდინარე ჭოროხის შესართავთან“ (Успенский, 1917). რუსეთის საიმპერატორი კარმა მეცნიერს ნება დართო არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო მაშინ აფსაროსში არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა.

მოგვიანებით XX საუკუნის დასაწყისში ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისათვის ე.წ. „ღია ფურცელი“ აუღია ცნობილ მეცნიერს ნიკო მარს, მაგრამ, კვლევის წარმოება მასაც ვერ მოუხერხებია (ბრიზი დ., კარასიევიჩი-შჩიპიორსკი რ., მამულაძე შ., 2024) (კახიძე ა., მამულაძე, შ., 2016) (კახიძე ა., მამულაძე, შ., 2024).

ციხის ტერიტორიაზე პირველი საველე-სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების ჩატარება ბათუმში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გახსნის შემდეგ, XX ს-ის 60-იანი წლებისთვის, გახდა შესაძლებელი (გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი, დ., 1964), ხოლო მისი ინტენსიური შესწავლა, კი 1995 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, როდესაც შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი და გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. ბოლო პერიოდში ციხის ტერიტორიაზე ნაყოფიერად მუშაობს ქართულ-პოლონური საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია. წარმოებული სისტემატური გათხრების შედეგად მოპოვებულია სხვადასხვა ეპოქების (დღ.წ. VIII-VII სს), რომაული (ახ.წ. I-III სს), ბიზანტიური (ახ.წ. VI-VII სს) და ოსმალური (ახ.წ. XVI-XIX სს)) მდიდარი და მრავალფენოვანი მასალა. გამოვლენილია სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ნაშთები, მათ შორის ბიზანტიურის პერიოდი (კახიძე ა., მამულაძე, შ., 2016) (კახიძე ა., მამულაძე, შ., 2024) (მამულაძე შ., კახიძე, ა., კახიძე, ე., 2007).

არქეოლოგიურმა გათხრებმა ბიზანტიური ეპოქის საკმაოდ მძლავრი ფენა და საყურადღებო მასალა გამოავლინა ციხის თითქმის მთელს ტერიტორიაზე. (მამულაძე შ.; კახიძე ე., ხალვაში მ., 2012) (ინაიშვილი ა., 1971ბ) (კახიძე ა., მამულაძე, შ., 2016) (მამულაძე შ.; კახიძე ე., ხალვაში მ., 2012) (კახიძე ა., მამულაძე, შ., 2024).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აფსაროსში აღმოჩენილი ადრეობიზანტიური ხანის მასალა უკვე შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. მათ შესახებ არსებობს ცალკეული სტატიები და მონოგრაფიები, ამიტომ მათზე ვრცლად აღარ შევჩერდებით. ავლნიშნავთ მხოლოდ, რომ აქ აღმოჩენილი სატრანსპორტო ჭურჭელი-ამფორები საგანგებოდ შეისწავლა მ. ხალვაშმა. ავტორის მონოგრაფიაში „კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან“ რომაული ხანის ამფორებთან ერთად დეტალურადაა განხილული 1995-1999 წლებში ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეშუასაუკუნეების ამფორები და გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით მათში შვიდი ძირითადი ტიპია გამოყოფილი (ხალვაში მ., 2002).

კვლევის მეთოდები. საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად ტრადიციულ არქეოლოგიურ მიდგომებთან - ტიპოქრონოლოგიურ და კეცის მაკროსკოპული ანალიზთან ერთად, გამოყენებულია არქეომეტრიული კვლევის შედეგები.

საკვლევი თემის ირგვლივ განხორციელდა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცული ადრეობიზანტიური ხანის კოლხური ამფორების მაკროსკოპული ანალიზი. ამფორების ფრაგმენტის შესწავლის საფუძველზე, გამოიყო მორფოლოგიური და მაკროსკოპული კეცის სტრუქტურული ჯგუფები.

კვლევის მეორე ეტაპზე კი განხორციელდა არქეომეტრიული კვლევა. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა გონიო-აფსაროსის ქართულ-პოლონური საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2018-2020 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა; კერძოდ, საანალიზოდ შეირჩა სხვადასხვა ტიპის ამფორის ნატეხი, მათ შორის კოლხური ამფორებიც. აღნიშნულ ნიმუშებს ჩაუტარდა კომპლექსური

ქიმიური და პეტროგრაფიული კვლევა, რომლის ფარგლებშიც დეტალურად შევისწავლეთ სამი ძირითადი კომპონენტი: თიხის მატრიცა, მინარევები და ფორები. გარდა ამისა, განისაზღვრა კეცის ზოგადი შემადგენლობა, გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი და მოხდა მინარევებისა თუ ქანების ტიპების იდენტიფიცირება და რაოდენობრივი შეფასება.

წინამდებარე სტატიაში შლიფები აღწერილ იქნა სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ძირითადად ეფუძნება პ. ქვინის მიერ მის სახელმძღვანელოში გადმოცემულ მიდგომას: ზემოთ აღნიშნული სამი კომპონენტის (თიხა ანუ მატრიცა, მინარევები და ფორები) ცალცალკე აღწერას (Quinn P.S., 2022). თიხის აღწერა ხდება როგორც ერთ, ისე ჯვარედინ ნიკოლში. ფერის გარდა აღიწერება მასალის ერთგვაროვნება ან არაერთგვაროვნება, თიხის მინერალების ორიენტაცია და, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოწვის ხარისხიც.

მსჯელობა. ადრეხანტიური პერიოდის კოლხური ამფორები წელშეზნეპილი, ყავისფერკეციანი კერამიკული ნაწარმია. აღნიშნული სახის კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსის გარდა ასევე აღმოჩენილია ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის თანადროულ ძეგლებზეც. თიხის ანალიზის მიხედვით, ფიქრობენ, რომ ისინი კოლხურების მიბაძვით ადგილზეა დამზადებული (ხალვაში მ., 2002). ეს ტიპი ბოლო წლების მონაპოვრებში საკმაოდ მრავალრიცხოვანია (სურ.1).



სურ. 1 კოლხური ამფორების ტიპები: a – Ch1B, b- Ch1C, c-Ch1D

ადრებიზანტიური ყავისფერკაციანი ამფორები, რომლებიც ცნობილია როგორც Ch1D ამფორები, (კლასიფიცირებული ასევე როგორც Kuzmanov IX, Zeest 103, Tyritake ტიპის და აღმოსავლეთ პონტოური ამფორები (EP II-III)) ჩნდება დაახლოებით ახ.წ. IV საუკუნის შუა ხანებში და მათი წარმოება გაგრძელდა VII საუკუნემდე. ისინი იწარმოებოდა იმ კეცის გამოყენებით, რომელიც ნაწილობრივ მსგავსი იყო Ch1C -ის ახ.წ. I-III საუკუნეებში დამზადებული ანალოგიური ფორმის ამფორების (ჩვეულებრივ, ყავისფერი თიხა, რომელიც შეიცავს პიროქსენის ნარევებს, ასევე სხვა პატარა თეთრ, ნაცრისფერ და ზოგჯერ წითელ ჩანართებს (კეცი 2 ვნუკოვის მიხედვით). თუმცა, Ch1D კეცი იყო უფრო უხეში, ჰქონდა ნაკლები პიროქსენი და მეტი კვარცი. Ch1D ამფორები ზომით უფრო მცირეა ვიდრე Ch1C2. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ამფორები სებასტოპოლისში გაჩნდა დაახლოებით ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში და მათი დამზადება გაგრძელდა მე-V საუკუნემდე. აფხაზეთში აღმოჩენილი ამფორების ნაწილი შესაძლებელია სებასტოპოლისის რაიონში იყო დამზადებული, თუმცა ვნუკოვის მიერ ჩატარებული კეცის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ჭურჭელი კოლხეთის სხვა ადგილებშიც უნდა ყოფილიყო დამზადებული, ისევე როგორც ამ რეგიონის გარეთ, მაგალითად ჰერაკლეია-პონტიკაში (Vnukov s., 2010) (Erol A., Tamer D., 2020).

ვარაუდობენ რომ, ადრებიზანტიური კოლხური ამფორები, ისევე როგორც მათი ადრეული რომაული წინამორბედები ღვინის გადასაზიდად გამოიყენებოდა (Vnukov s., 2010) (Inaishvili N., Khalvashi M., 2011). თუმცა, როგორც ფიქრობენ, ზეითუნის ზეთი ასევე შესაძლოა ყოფილიყო ალტერნატიული ტვირთი.

კასაბ თეზგორის აზრით გვიანდელი კოლხური ამფორები მზადდებოდა როგორც კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ასევე ამ მხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ წარმოება გაგრძელდა ტრაპეზუნტში, სადაც ამზადდებდნენ რომაულ კოლხურ ამფორებს და, სავარაუდოდ, ჭოროხის აუზშიც (ძველი აკამფსისი) იწარმოებოდა. Ch1D ამფორების შიგთავსზე საუბრისას, უნდა ავლენიშნოთ ის ფაქტი, რომ მათი კედლის შიდა მხარე ხშირად დაფარული იყო მუქი ნივთიერებით, სავარაუდოდ ეს იყო ნავთობი, მაგალითად, ტირიტაკეში აღმოჩენილია მსგავსი სრულიად ხელუხლებელი ნავთობით სავსე Ch1D ამფორა (Kassab Tezgor D., 2020) (Opait A., 2015).

Ch1D ვარიანტის კოლხური ამფორები, კასაბ თეზგორისა და ტუმას მიერ 2001 წელს კლასიფიცირდა, როგორც „ფსევდო-კოლხურები“. ისინი ოქროსფერი და წითელი ჩანართებით სინოპურ კეცს ემსგავსებიან. ამავე დროს, მათი მორფოლოგია და თიხის ფერი წააგავს ადრეულ რომაულ კოლხურ ამფორებს (Kassab tezgor., Touma M., 2001).

Ch1D-ის გავრცელების არეალი შავი ზღვის რეგიონია (Inaishvili N., Khalvashi M., 2013). კოლხეთის გარეთ ისინი აღმოჩენილია რუმინეთში, ბულგარეთში და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში (ბოსფორის სამეფოში). კოლხური Ch1D2 ამფორები (სავარაუდოდ აფხაზეთის რეგიონში დამზადებული) აღმოჩენილია ტირიტაკეში (Smokotina A., 2016) და პანტიკაპეონში (Fedoseev N.F., Domizaitski K., Opait A., Kulikov A.V., 2010). Ch1D-ის რამდენიმე ფრაგმენტი გვხვდება სამსუნისა და ანტაკიის მუზეუმების კოლექციებში, მაგრამ ისინი ნაპოვნია სირიაში, იბნ ჰანის ცისტერნის გათხრების დროს. ვარაუდობენ, რომ სირიაში აღმოჩენილი ნიმუშები, შეიძლება წარმოებულიყო სელევკიის პიერიის სახელოსნოში (Kassab Tezgor D., 2020) (Kassab tezgor., Touma M., 2001). ზღვაში აღმოჩენილი და სამსუნის მუზეუმში დაცული ანალოგიური ფორმის ამფორები გამოსცეს დ. კასაბ თეზგორმა და მ. აკაიამ. სამსუნის მუზეუმის ფსევდოკოლხური ამფორები ხუთ ტიპად იყო დაყოფილი: A, B, C, D, E, სადაც პირველი ორი წარმოდგენილია უფრო პატარა ფორმებით, ხოლო დანარჩენი სამი ტიპი მოიცავს დიდ სატრანსპორტო ფორმებს. ყველა მათგანს აქვს სამკუთხა ან მომრგვალებული რგოლი, გამლილი ან კონუსური ყელი, ბრტყელი სახელები და წაგრძელებული ტანი მკაფიოდ შესამჩნევ

წელით და წვეტიანი ძირით. თუმცა, როგორც ისინი ფიქრობენ გაურკვეველია, წარმოიშვა თუ არა ისინი კოლხეთში. მათი აზრით ეს ამფორები შესაძლოა ასევე წარმოებული იყო სინოპეში ან პერაკლეია-პონტიკაში (Kassab tezgor d., Akkaya M., 2000).

ბიზანტიური კოლხური ამფორების ტიპოლოგიური ვარიანტების ყველაზე დეტალური აღწერა წარმოგვიდგინა ოპაიტმა, რომელიც მათ ყოფს აღმოსავლეთ-პონტოურ II და III ამფორებად (EP II და III) (Opait A., 2015).

ოპაიტის მიხედვით, EP II-A ვარიანტის ამფორები (კასაბ თეზგორისა და აკაიას ტიპი A და B (Kassab tezgor d., Akkaya M., 2000). გამოირჩევა სხეულის შუა ნაწილში „წელით“ და მკვეთრი კონუსური ძირით. ამ ამფორების კორპუსი ხანდახან ღარებითაა დაფარული, მაგრამ რიგ ნიმუშებში ასევე არის გასწორების გრძივი კვალი. მათი ზომები მერყეობს 59-62 სმ ან 68,5-72 სმ (სიმაღლე), სხეულის მაქსიმალური დიამეტრი მერყეობს 18,7-დან 19,8 სმ-მდე (Opait A., 2015).

EP II-B ვარიანტის (კასაბ თეზგორისა და აკაიას ტიპი C-E (Kassab tezgor d., Akkaya M., 2000) ამფორების ქვედა ნაწილი სქელი და სამკუთხაა. ხოლო ფუძეს აქვს პატარა, ცილინდრული ფეხის ან სახელურის ფორმა. სახელურები არის გაბრტყელებული და მართკუთხა ფორმის და ნაკლებად ფრთხილად არის მიმაგრებული კისერზე, ვიდრე ქვეტიპში EP II-A. ეს ამფორები ასევე უფრო დიდია, ვიდრე წინა ვარიანტი, რადგან მათი სიმაღლე მერყეობს 78-დან 90 სმ-მდე, ხოლო სხეულის მაქსიმალური დიამეტრი 22-დან 32 სმ-მდე მერყეობს (Opait A., 2015).

EP III ქვეტიპის (რუსულ პუბლიკაციებში ცნობილი, როგორც Antonova 1/ Romanchuk, Sazanov და Sedikova 1) ამფორები აღმოაჩინეს VI საუკუნის ბოლოს და მე-VII საუკუნის დასაწყისის კულტურულ ფენებში ხერსონესში და მათ სამ ვარიანტად ყოფენ (Opait A., 2015).

EP III-A-ს აქვს წიბოსებრი რგოლი, ვიწრო, ცილინდრული ყელი და წაგრძელებული სხეული კონუსური ფუძით. სახელურები არის გაბრტყელებული და საკმაოდ მართკუთხა (EP II ვარიანტის მსგავსი). ისინი ყოველთვის სათუთად არის მიმაგრებული კისერზე და მხრებზე. ვარიანტი III-A საგრძნობლად მცირეა, ვიდრე მისი წინამორბედი, რადგან მისი სიმაღლე მერყეობს 57-58 სმ-ს შორის, ხოლო სხეულის მაქსიმალური დიამეტრი არ აღემატება 19 სმ-ს (Opait A., 2015).

EP III-B ამფორებს აქვს პირი, რომელიც იხრება ჭურჭლის შიგნით, ხოლო ყელი ზოგჯერ ოდნავ განიერია მის ქვედა ნაწილში. სახელურები თითქმის პერპენდიკულარულად ეცემა მხრებზე, ხოლო კონუსური ძირი მთავრდება პატარა ცილინდრული ფეხით. ეს ვარიანტი ოდნავ აღემატება მის EP-III-A წინამორბედს, რადგან მისი სიმაღლე მერყეობს 68,5-დან 74 სმ-მდე, ხოლო სხეულის მაქსიმალური სიგანე მერყეობს 20-დან 20,6 სმ-მდე (Opait A., 2015).

EP III-C ვარიანტს აქვს გადიდებული ყელი, პირი სამკუთხა განყოფილებით, პატარა, ცილინდრული ფეხით და დახრილი და დაუდევრად გაკეთებული სახელურებით (Opait A., 2015).

გონიოში 2018-2020 წლებში აღმოჩენილი გვიანდელი კოლხური ამფორები უმეტესად პირით, ყელის და სახელურებითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ამფორების ზუსტი ზომების მოცემა. მიუხედავად ამისა, ხშირად შესაძლებელი იყო პირის დიამეტრის გაზომვა, რომელიც მერყეობდა 5,7-დან 8 სანტიმეტრამდე.

გონიო-აფსაროსის ერთობლივი ქართულ-პოლონური საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2018-2020 წლებში აღმოჩენილი Ch1D ამფორები წარმოდგენილი იყო სამი განსხვავებული პირით და დამზადებულია მინიმუმ 3 განსხვავებული კეცის გამოყენებით:

მაკროსკოპული კეცის ჯგუფი B1 - კეცის ჯგუფი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყავისფერი, ღია ყავისფერი ვარდისფერი, ნარინჯისფერი ფერები, შეიცავს პიროქსენის, კვარცის და ნაცრისფერი მოწითალო ფრაგმენტების ცვალებად რაოდენობას. ამ კეცის ჯგუფში დაფიქსირდა ნიმუშები წიბოთი და ასევე ლილვისებრი ფორმის პირით.

მაკროსკოპული კეცის ჯგუფი B2 - მოწითალო-ყავისფერი კეცი მცირე და საშუალო ზომის თეთრი ჩანართებით და იშვიათი ქანის კლდის ფრაგმენტებით. ამ კეცის ჯგუფში დადასტურდა ნიმუშები მხოლოდ ლილვისებრი ფორმის პირით.


მაკროსკოპული კეცის ჯგუფი B3 - უხეში ფორთოხლისფერი კეცი უხვი თეთრი ჩანართებით, პიროქსენით და სხვა განუსაზღვრელი ტიპის ჩანართები (2 ფრაგმენტი).

B1 მაკროსკოპული კეცისაგან დამზადებული ამფორები ერთადერთია, რომელიც ემთხვევა ოპაიტის მიერ გამოცემულ კოლხურ ამფორის კეცის შემადგენლობას (Opait A., 2015). B1 ავლენს ყველაზე მეტად მსგავსებას იმ კაზმთან, რომელიც გამოიყენება EP III A და B ვარიანტების დასამზადებლად, რომლებიც დათარიღებულია ახ.წ. მე-VI და მე-VII საუკუნის დასაწყისით ქერსონესში. მაკროსკოპული კეცის ჯგუფ B1-ით დამზადებული Ch1D-ების იდენტიფიკაცია EP III ქვეტიპთან დამატებით დასტურდება ორი არგუმენტით: 1. წიბოების არსებობა და ჩვენი ამფორების ქრონოლოგიურ დიაპაზონებს შორის თანხვედრა (VI-VII საუკუნეები) და 2. EP III-ად კლასიფიცირებული (VI საუკუნის დასასრული და VII საუკუნის დასაწყისი), რაც ამ იდენტიფიკაციას ყველაზე სავარაუდოს ხდის (Opait A., 2015).

მაკროსკოპული კეცების ჯგუფების B2 და B3 არარსებობა Opait-ის კლასიფიკაციის შემადგენლობაში, სავარაუდოდ კეცის რეალური მრავალფეროვნებითა (და შესაძლოა მორფოლოგიური ვარიანტების სიმრავლითაც) და, შესაბამისად, წარმოების ცენტრების რაოდენობის კიდევ უფრო მეტი რაოდენობით უნდა აიხსნას.


2018-2020 წლებში მოპოვებულ კოლხური ამფორებს ჩაუტარდათ ქიმიური და პეტროგრაფიული ანალიზები. ანალიზების შედეგად გამოიყო ორი კეცი - კეცი 6 და კეცი 7.

კეცი 6 ახასიათებს მარცვლის ზომის ბიმოდალური განაწილება, ზომიერი დახარისხება და ჩანართები, რომლების ფორმა იცვლება ძალიან დაკუთხულიდან ნახევრად მომრგვალებულამდე. მინარევებში გვხვდება რკინით მდიდარი გრანულები, ფელდშპატი, კვარცი, კლინოპიროქსენი, ვულკანური ქანების ფრაგმენტები ფელდშპატიცა და პიროქსენის ფენოკრისტებით, კაჟი, ქვიშაქვა/კვარციტი, ასევე ზოგჯერ სერპენტინიტი და ეპიდოტის ჯგუფის მინერალები (სურ.2).



სურ. 2. კეცი 6 -ის ფოტომიკროგრაფია (XPL): a) 22/101, b) 22/123, c) 22/124, d) 22/125, e) 22/126, და f) 22/128; ხელვის არე 9.25 მმ.

კეცი 7-ში არსებულ მინარევებს აქვთ უნიმოდალური განაწილება. ჩანართებს ახასიათებთ მაღალი სიმჭიდროვე. კუთხოვანი მომრგვალებული ფორმები და ზომიერი დახარისხება. კეცი შედგება კვარცის, ფელდშპატის, და საშუალო და მაღალი მჟავიანობის მქონე ვულკანური და პლუტონური ქანების ფრაგმენტებისგან. კლინოპიროქსენის, სერპენტინიტის და გამონაკლის შემთხვევებში ქვიშაქვისა და ქარსის (სურ.3). ყველა ნიმუში წარმოადგენს მ. ხალვაშის კლასიფიკაციის VII კოლხურ Chr1D ტიპს და შეესაბამება მაკროსკოპული კეცის ჯგუფ B2.



სურ.3. კეცი7-ის ფოტომიკროგრაფია (XPL): a) 22/122 და b) 22/127; ხედვის არე 9.25 მმ.

როგორც „კეცი 7“, ასევე „კეცი 6“ შეესაბამება დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ გეოლოგიას, განსაკუთრებით ტრაბზონის ვულკანურ-პლუტონურ სარტყელს და მასთან დაკავშირებულ დანალექ აუზებს. „კეცი 6“-ის შემადგენლობა მიუთითებს სამხრეთ კოლხური/აჭარის ვულკანური კომპლექსებიდან წარმოშობაზე, რომლებიც ბაზალტურ-ანდეზიტური წყებებისაგან შედგება. მსგავსი მინერალოგიური ნიშნები მოგვეპოვება ა. როგავას მიერ აღწერილ პეტროგრაფიულ ქსელში Gm-3 პეტროგრაფიული კეცის ჯგუფში (კოლხური ამფორების შლიფები გონიო-აფსაროსიდან), სადაც კლინოპიროქსენისა და ფელდშპატის შემცველი ვულკანური ქანები სერპენტინიტთან ერთად დომინირებს (როგავა ა., 2021).

„კეცი 7“-ს, „კეცი 6“-თან შედარებით, უფრო მეტი ფელსური კომპონენტი და შედარებით ნაკლები მაფიური მინერალები აქვს. როგორც ჩანს, ის ა. როგავას (როგავა ა., 2021) პეტროგრაფიული კეცის ჯგუფი Pm-5 მსგავსია.

როგორც მკლევარი აღნიშნავს, ჩანართების უჩვეულოდ მაღალი სიხშირე მას გამოარჩევს ტიპური კოლხური ამფორების კეცისგან და მინერალოგიურად საკმაოდ განსხვავდება ადგილობრივი ქვიშის ნედლეულისაგან. თუმცა, მისი შემცველობა მაინც ვულკანურ-პლუტონური რელიეფებიდან წარმოშობაზე მიუთითებს, რაც აჭარა-ტრაბზონის სარტყელს შეესაბამება (როგავა ა., 2021).

დასკვნა. ამგვარად, კოლხური ამფორების ნიმუშებში გამოვლენილი კაზმი პეტროგრაფიულად შეესაბამება დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ, განსაკუთრებით კი აჭარა-ტრაბზონის ვულკანური სარტყელის გეოლოგიას. მნიშვნელოვანია, რომ მ. ხალვაშის კლასიფიკაციის III ტიპის ამფორების ერთ-ერთი ქვეტიპიც მსგავსი კეცის გამოყენებით იწარმოებოდა, რაც მიუთითებს წარმოების ტრადიციების გადაფარვასა და კოლხური რეგიონის ფარგლებში თიხის მოპოვების საერთო ზონებზე. კეცებს შორის განსხვავებები შეიძლება ასახავდეს ერთიდაიგივე გეოლოგიურ პროვინციაში თიხის მოპოვების მრავალ ზონას.

Bibliography

- Dubois de Montpéroux F. (1839). *Voyage autour du Caucase, chez Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée* (T. 3). Paris.
- Erol A., Tamer D. (2020). 2020. Evaluations on colchian amphorae retrieved from Fasta. *Cingirt Kayasi excavations. Rei Cretariae Romanae Fautorum Acta* 46, სტრ. 527-541.
- Fedoseev N.F., Domizaiski K., Opait A., Kulikov A.V. (2010). Post-Justinian pottery deposit from Pantikapaion-Bosporos. *B Archaeologia* (სტრ. 63-94).
- Inaishvili N., Khalvashi M. (2013). Study of the colchian Amphora of Early Byzantine Period. *PATABS Production and trade of Amphorae in the Black Sea Constanta* 351.
- Inaishvili N., Khalvashi M. (2011). Byzantine Amphorae from Southwestern Georgia. *PATABS II: production and trade of amphora in the Black Sea: Arts on the international Round Table held in kiten, Nessebar and Sredetz*, სტრ. 267.
- Kassab Tezgor D. (2020). *Corpus des amphores romaines produites dans les centres de mer Noire: collections des musées de la côte turque de la mer Noire (Eregli, Amasra, Sinop, Samsun, Giresun, Ordu, Trabzon et Amasya)*. Oxford: Archaeopress Publishing Ltd.
- Kassab tezgor d., Akkaya M. (2000). Les amphores "Pseudo-Colchidiennes" du musée de Samsun//. *Anatolia antiqua. Eski Anadolu*, სტრ. 127-141.
- Kassab tezgor., Touma M. (2001). Amphores exportées de mer Noire en Syrie du nord. *Anatolia Antiqua* 9, სტრ. 105-151.
- Opait A. (2015). Some Eats Pontic amphorae of Roman and Early Byzantine times. *The Danubian lands between the Black, Aegean and Adriatic seas (7th century BC-10 th c. AD). Proceedings of The Fifth International Congress on Black Sea Antiquities* (სტრ. 284-288). Belgrade: Oxford: Archaeopress Publishing Ltd.
- Quinn P.S. (2022). Thin Section Petrography, Geochemistry and Scanning Electron Microscopy of Archaeological Ceramics. Oxford: Archaeopress.
- Smokotina A. (2016). Late Roman Amphorae Tyritake. *Congresus vicesimus nonus Rei Cretariae Romanae Fautorum coloniae Ulpiae Traianae habitus MMXIV*, (სტრ. 716-724). Bonn.
- Vnukov s. (2010). Sinopean Amphorae of the Roman period. *acient civilization from Scythia to Sibberia* 16, სტრ. 361-370.
- Успенский, Ф. И. (1917). Старая крепость на устье Чороха. *Известия Императорской Академии Наук*, 11/2, სტრ. 163–169.
- ბრიზი დ., კარასიევიჩი-შიზიპიორსკი რ., მამულაძე მ. (2024). *რომაული სასაზღვრო ხაზი საქართველოში*. ოქსფორდი.
- გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი, დ. (1964). რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში. თბილისი.
- ინაიშვილი ა. (1971ბ). პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. *В სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები* (T. II, სტრ. 90-109). თბილისი.
- კახიძე ა., მამულაძე, მ. (2016). *აჭარის არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი.
- კახიძე ა., მამულაძე, მ. (2024). *აჭარის არქეოლოგიური ძეგლები*. ბათუმი.
- მამულაძე მ., კახიძე, ა., კახიძე, ე. (2007). *გონიო-აფსაროსი*. თბილისი.
- მამულაძე მ.; კახიძე ე., ხალვაში მ. (2012). აფსაროსი ბიზანტიურ ეპოქაში. *საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები*, სტრ. 237-254.
- როგავა ა. (2021). *ელღინისტური და რომაული პერიოდის კოლხური ამფორების ტექნოლოგია და წარმოშობა ზღვისპირა აჭარის რეგიონში: არქეომეტრიული კვლევა, სადოქტორო დისერტაცია*. ბათუმი.
- ხალვაში მ. (2002). *კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან*. ბათუმი: გამომცემლობა აჭარა.